

კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირება

დალილა ზარდიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი

ილიას საახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.¹

¹ თამარ მოსიაშვილი, სიმონ ჯანაშია, ნათია გაბრიჩიძე, ნინო ჟვანია, ნუცა ფრუიძე, ელენე ტატიშვილი, ნინო გულიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელი წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის (თბილისი: 2011 წელი), 47. <https://drive.google.com/drive/u/2/folders/1V8N3zyg-p1645nECwMIANSR5Wh2kqeSo> (04.07.2021).

აბსტრაქტი

თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში ციფრული სივრცის რეგულირების საკითხი საკმაოდ აქტიურად დადგა. დროთა განმავლობაში გაიზარდა ციფრული ტექნოლოგიების მომხმარებლის მოთხოვნა და შესაბამისად წარმოიშვა უფრო მეტი პრობლემა, რომლის გადაჭრა აუცილებელია.

სამართლებრივი სისტემისთვის მართლაც რთულია ამ სრულიად უცხო სამყაროში ფეხის შებიჯება. საქართველოს კანონმდებლობის ისტორიას თუ გადავხედავთ, სახელმწიფოს ძალიან ეხმარებოდა სხვა ქვეყნის პრაქტიკისა და კანონმდებლობის გაზიარება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის ჩამოყალიბებაშიც დიდი როლი შეასრულა გერმანიის საკანონმდებლო ბაზამ. სამწუხაროდ, მსგავსი პრაქტიკის გაზიარება ნაკლებად შეგვიძლია როდესაც ვსაუბრობთ, კრიპტოვალუტებსა და მათ საკანონმდებლო მოწესრიგებაზე, ვინაიდან, იგი უცხო და ახალი ინსტიტუტია როგორც საქართველოსთვის, ასევე, მსფლიოს ყველა ქვეყნისთვის.

კრიპტოვალუტის არსისა და ბაზრის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აუცილებელია მისი სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, რათა მაქსიმალური უსაფრთხოების გარანტიები არსებობდეს, როგორც მოხმარებლისთვის ასევე ქვეყნისთვის. მისი ბაზრის სწრაფი განვითარების ტენდენციები საქართველოსგან მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას რათა სწრაფად და ეფექტურად მოხდეს სამართლებრივი რეაგირება.

კრიპტოვალუტის ბუნების გათვალისწინებით, ძალზედ რთულია არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალოგიით გამოყენება და მისი ამ მიმართულებით დარეგულირება. თუმცა, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული მოქმედებების ისე განმარტება, რომ სწორად მოხვდეს იმ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მსგავსი ტიპის საქმიანობასთან.

Abstract

In the modern technological world, the issue of digital space regulation has become quite active. Over time, the demand for digital technologies has increased and consequently more problems have arisen that need to be addressed.

It is really difficult for the legal system to step into this completely foreign world. If we look at the history of Georgian legislation, it was very helpful for the state to share the practices and legislation of another country. A good example of this is the Civil Code of Georgia, in the formation of which the German legislative base played a major role. Unfortunately, we can hardly share such practices when we talk about cryptocurrencies and their legal regulation, as it is a foreign and new institution for both Georgia and all countries of the world.

The analysis of the essence of the cryptocurrency and the market revealed that it is necessary to include it in the legal framework in order to have maximum security guarantees for both the user and the country. Its rapid market development trends require maximum attention from Georgia in order to respond quickly and effectively to legal action.

Given the nature of cryptocurrency, it is very difficult to use the existing legal framework by analogy and regulate it in this direction. However, at this stage it is very important to define the actions related to cryptocurrencies in such a way as to properly fit into the legal space that is closest to a similar type of activity.